სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას თორმეტი წლის ათ დეკემბერს მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია (“ავერსი”-ს კლინიკის გვერდით), მომმართა მოქ. *ირაკლი კუტალიამ* მან განაცხადა, რომ წარმოადგენს *შპს “კრონა”-ს (რეგისტრირებული 15.06.2009 წ. ს/ნ 205281014, საზოგადოების იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. № 80)* დირექტორს და სურს *შპს “სქაი სერვის +”* მიმართ მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავადგინე, რომ მე ნამდვილად *შპს “კრონა”-ს დირექტორმა ირაკლი კუტალიამ (დაბ. 20.02.1977 წ. რუსეთში., პ/№ 01008058302, რეგისტრ. მისამართზე: ქ. თბილისი, ნ. ცხვედაძის ქ. № 18ა)* მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც განვუმარტე მას. მან წაიკითხა ეს მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩენი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თორმეტი წლის ათ დეკემბერს მე, *ირაკლი კუტალია, შპს “კრონა”-ს* დირექტორი, შემდგომში ამ მინდობილობაში წოდებული როგორც “მიმნდობი”, ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ *შპს “სქაი სერვის +”* ს/კ № 205277626, მისი დირექტორის *ნიკოლოზ იმედაშვილის (დაბ. 27.06.1980წ. პირადი № 01024019105, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ო. ჭილაძის ქ. № 166, კორპ. 11, ბინა 46)* შემდგომში – “მინდობილ პირს”:

იყოს ჩემი, როგორც *შპს “კრონა”-ს* დირექტორის წარმომადგენელი, საზოგადოების სახელით მოახდინოს ვებ გვერდზე TAS.ge-ზე კომპანიის სახელით საჭირო დოკუმენტაციის, კერძოდ სარეკლამო ბანერის მეტალის კონსტრუქციების დასამაგრებლად ნებართვისათვის საჭირო დოკუმენტაციის ელექტრონულად ატვირთვა.

ამასთან დაკავშირებით შეიტანოს ჩემი სახელით ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, შეავსოს შესაბამისი ანკეტა, ფორმა, მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს ხელი და განახორციელოს ყველა მოქმედება დაკავშირებული ამ დავალების შესრულებასთან.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ანჟელა მანიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილ პირს უფლება აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება გადასცეს სხვა პირებს თავისი შეხედულებისამებრ.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

მინდობილობა გაცემულია სხვა პირზე გადანდობის უფლებით.

ამ მინდობილობას თან ერთვის:

1. შპს *“კრონა”-ს* ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
2. შპს *“კრონა”-ს* წესდება- ასლი ინახება მინდობილობის - დადასტურებული ნოტარიუს ანჟელა მანიას მიერ 30.07.2010წ, რეესტრში რეგსიტრაციის № 100759179.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” 31-ე მუხლისა - 10 (ათი) ლარი: დღგ 1.80 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ”.

ხელმოწერა _____

ნოტარიუსი */ანჟელა მანია/*

ნოტარიუსი საქართველო GEORGIA NOTARY ANZHELA MANIA ნოტარიუს მანია 62001034660

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

23038544325212

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N12311445

რეგისტრაციის თარიღი

10.12.2012 წ

ნოტარიუსი: ანჟელა მანია
მისამართი: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 5 (93) 677685; +995 (32) 2479191 ელ.ფოსტა amania@notary.ge

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18